NATIONAL SOCIALISM

THE BIOLOGICAL WORLDVIEW



POVL H. RIIS-KNUDSEN

ნაციონალ-სოციალიზმი:

ბიოლოგიური მსოფლმხედველობა



•Terror-88 Library•
Batumi 2025

როგორც ნაციონალ-სოციალისტს, თქვენ ხშირად გიჭირთ მნიშვნელოვან თემებზე საუბარი ადამიანებთან, რომლებიც არ იზიარებენ ამ იდეოლოგიას. ხშირად გეჩვენებათ, რომ ასეთი დიალოგი საერთოდ შეუძლებელია და თითქოს თქვენ ორ სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობთ. ეს ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ ნაციონალ-სოციალიზმი საზოგადოებაში აღქმულია, როგორც ადამიანური ბოროტების მწვერვალი — ეს არის იმიჯი, რომელსაც ჩვენი მტრები წლების მანძილზე ამყარებდნენ პროპაგანდის მეშვეობით. თუმცა, ახალგაზრდებისთვის ის, რაც ნახევარი საუკუნის წინ მოხდა, უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ისინი ბავშვობიდან ადევნებენ თვალს ყველა იმ ბოროტებასა და სისასტიკეს, რომელიც 1945 წელს "ჰუმანიზმის გამარჯვების" შემდეგ მთელ მსოფლიოში მძვინვარებს. ეს ყველაფერი მათთვის ტელევიზიისა და თანამედროვე ინფორმაციის წყაროების საშუალებით ნათლად ჩანს. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა თაობაში თანდათან სულ უფრო მატულობს ტენდენცია, რომ რეალობასა და მის პრობლემებს წინა თაობებისგან განსხვავებით ნაკლებად მიკერძოებული თვალით უყურონ.

თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ახალგაზრდებს ზუსტი წარმოდგენა აქვთ, რა არის სინამდვილეში ნაციონალ-სოციალიზმი და მითუმეტეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გაგებით ეკიდებიან, როდესაც თქვენ მათ ამ იდეის შესახებ ესაუბრებით. ისინი აღიზარდნენ სამყაროში, სადაც მიზანმიმართულად არიან გაუცხოებულნი ყველა ბუნებრივი ღირებულებისა და ეთიკური ნორმისგან, სადაც მათ ასწავლეს, რომ ყველაფერი ფარდობითია და ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის მკაფიო ზღვარი არ არსებობს. ამ ღირებულებებისგან დაცლილ რეალობაში ადამიანები გონებრივ ვაკუუმში ცხოვრობენ, სრულიად მოწყვეტილნი ბუნებრივ წესრიგსა და მის შეუქცევად კანონებს. ასეთ პირობებში, ნაციონალ-სოციალისტური იდეა მათთვის სრულიად უცხო ელემენტად აღიქმება.

დღევანდელ უდარდელ რელატივიზმს, სადაც ყველა იდეა — თეორიულად მაინც — თანაბრად მისაღები და გამართლებულია, ნაციონალ-სოციალიზმი უპირისპირდება როგორც ჭეშმარიტების ძიების შეუპოვარი მცდელობა, რათა ეს ჭეშმარიტება გახდეს საზოგადოებრივი წესრიგის საფუძველი. თუმცა, ნაციონალ-სოციალიზმი არ ეფუძნება გაურკვეველ ფილოსოფიურ თეორიებსა თუ აღმოსავლურ მისტიციზმს. მისი საფუძველი რეალურ სამყაროშია, სადაც ფაქტები განსაზღვრავენ სიკეთესა და ბოროტებას, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს და არა ადამიანის სურვილები ან თეორიული ფანტაზიები.

ამ პირობებში ცხადია, რომ ნაციონალ-სოციალიზმმა უნდა უარყოს მმართველი იდეოლოგიების კონცეფციები და მორალური ნორმები, რაც თავისთავად ქმნის დიდ დისტანციას და გაუცხოებას მის მომხრეებსა და იმ ადამიანებს შორის, რომელთა აზროვნებასაც თანამედროვე მსოფლიო წესრიგის იდეები განსაზღვრავს. ნაციონალ-სოციალიზმი ნიშნავს აბსოლუტურ, შეუქცევად და უკომპრომისო ბრძოლას მსოფლიო წესრიგის ფილოსოფიურ საფუძვლებთან. შემდეგ თავებში შევეცდებით, განვიხილოთ ასეთი დაპირისპირების შედეგები.

როგორც წინა გვერდებიდან უკვე ცხადი გახდა, ნაციონალ-სოციალისტურ იდეას პოლიტიკასთან მხოლოდ ზედაპირული კავშირი აქვს. ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა არ არის რიგითი პოლიტიკური პარტია, რომელიც უბრალოდ კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს. თანამედროვე პოლიტიკა უმეტესად მატერიალისტურ მიზნებს ემსახურება: პარტიები ქმნიან პროგრამებს, რომლებიც იმდენად ბუნდოვანია, რომ შეძლონ რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლის მოზიდვა. შედეგად, მათი წარმომადგენლები ცდილობენ, ხელისუფლებაში მოხვედრის შემდეგ, რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღონ საზოგადოების დანარჩენი ნაწილის ხარჯზე.

ნაციონალ-სოციალიზმი ამაზე მეტია — ეს არის მსოფლმხედველობა, ცხოვრების სრულყოფილი ფილოსოფია, რომელიც მოიცავს ადამიანის არსებობის ყველა ასპექტს. მისი მიმდევრისთვის საზოგადოებაში მიმდინარე ყველა მოვლენა ერთი პრინციპითაა გაერთიანებული, რაც მის მსოფლმხედველობას მთლიანობას და სისრულეს ანიჭებს. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალ-სოციალისტისთვის ეთიკა, რელიგია, პოლიტიკა, ეკონომიკა და პირადი ცხოვრება ერთი დიდი სურათის სხვადასხვა ნაწილებად აღიქმება.

რა თქმა უნდა, ნაციონალ-სოციალიზმი არ არის ერთადერთი მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს. მსგავსი პრეტენზიები გააჩნიათ სხვადასხვა რელიგიებსაც. თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში რელიგიები იძულებულნი გახდნენ, კომპრომისზე წასულიყვნენ, რათა გადაელახათ უფსკრული რელიგიურ დოგმებსა და დღევანდელ რეალობას შორის. ამ უფსკრულმა ბოლო 500 წლის განმავლობაში გამოიწვია ქრისტიანული ქვეყნების სეკულარიზაცია და დღესაც აიძულებს ისლამურ სახელმწიფოებს, უარი თქვან მკაცრ რელიგიურ წესრიგზე და მიიღონ კაპიტალისტური ან კომუნისტური მატერიალიზმი.

რელიგიასა და პოლიტიკას შორის გაერთიანების მაგალითი შეიძლება იყოს ხომეინის ირანი, რომელიც მკაცრ თეოკრატიულ მმართველობაზეა აგებული. კიდევ ერთი მაგალითია ისრაელი, რომელიც დაფუძნებულია რელიგიურ რწმენაზე, რომ ებრაელები "ღმერთის რჩეული ერი" არიან და ღვთისგან მინიჭებული უფლებები გააჩნიათ გარკვეულ ტერიტორიებზე, რაც არგუმენტად გამოიყენება მათი ტერიტორიული მოთხოვნების გასამყარებლად. განსაკუთრებით ორთოდოქსი ჯგუფები უარყოფენ თალმუდის კანონებიდან მცირედ გადახვევასაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონები წარმოშობით ძველი მომთაბარე საზოგადოების ნორმებს ეფუძნება და თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში მათი პრაქტიკული განხორციელება შეუძლებელია.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება არაბულ ქვეყნებშიც, სადაც რამადანი ფორმალურად დაცულია, მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ირღვევა, რადგან სახელმწიფოები მუდმივად „ომში არიან" სიღარიბესთან. ასეთი მიდგომები ნათლად აჩვენებს, რომ ტრადიციული რელიგიური მსოფლმხედველობები სრულად შეუსაბამოა თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროსთან. მათი დასუსტების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ისინი რეალობას კი არ ეფუძნება, არამედ ბრმა რწმენას, რაც თანამედროვე ეპოქაში საკმარისი აღარ არის.

ბუნებრივია, რომ ქრისტიანებს სურთ შეინარჩუნონ ბიბლია, როგორც უზენაესი ავტორიტეტი და აზროვნების ცენტრი, ამიტომ, კათოლიკური ეკლესია მუდმივად ცდილობს გაზარდოს თავისი გავლენა საზოგადოების განვითარებაზე, განსაკუთრებით ტრადიციულად კათოლიკურ ქვეყნებში, როგორიცაა ირლანდია, იტალია, ესპანეთი და ლათინური ამერიკა. ამისთვის მას პოლიტიკური ძალაუფლება სჭირდება, თუმცა, მისი მთავარი სისუსტე შიდა უთანხმოებაში მდგომარეობს—იმაში, თუ როგორ უნდა მიაღწიონ ამ მიზანს და ქრისტიანული დოქტრინის რომელი ნაწილები უნდა იყოს პრიორიტეტული. ჩრდილოეთ ამერიკაშიც ქრისტიანობას საკმაო პოლიტიკური გავლენა აქვს, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევაფასოთ უმნიშვნელოდ. ევროპის უმეტეს ქვეყნებში არსებობს ქრისტიანული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ცდილობენ გაამყარონ ე.წ. ქრისტიანული ღირებულებები, როგორც მათი პოლიტიკური პროგრამის ნაწილი. თუმცა, ამ პარტიებში რელიგია რეალურად უმნიშვნელო როლს ასრულებს—და ეს უბრალოდ იმიტომ, რომ ქრისტიანობამ დაკარგა გავლენა ადამიანებზე, თუ საერთოდ ოდესმე ჰქონდა კიდეც. რატომღაც, ჩრდილოეთის ხალხებისთვის ქრისტიანობა ყოველთვის უცხო იდეად რჩებოდა და მათი ქრისტიანობის ინტერპრეტაცია კი ხშირად

არაქრისტიანული იყო. დღეს მისი გავლენა შემცირებულია ანაქრონისტულ ნაშთამდე. მაგალითად, დანიაში მოსახლეობის დაახლოებით 95% ლუთერანული სახელმწიფო ეკლესიის წევრია, თუმცა მხოლოდ 2% ესწრება წირვას, ხოლო კიდევ უფრო ნაკლები ამტკიცებს, რომ სწამს მისი დოქტრინის. აქედან გამომდინარე, როგორც ხალხის სულიერი ძალა - ქრისტიანობა მკვდარია.

მარქსიზმიც ცხოვრების ფილოსოფიაა და ის წარმოადგენს მსოფლმხედველობას, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტზე. პარალელურად დასავლური პოლიტიკური იდეოლოგიები ძირითადად მცირე ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ პრობლემებზე ფოკუსირდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი იზიარებენ გარკვეულ ფუნდამენტურ შეხედულებებს ადამიანის ცხოვრებაზე და საზოგადოების როლზე, სულიერი მოთხოვნილებების თვალსაზრისით, ისინი პრინციპულად თავისუფლები არიან ყოველგვარი ვალდებულებისგან. ისინი არ გამორიცხავენ რელიგიურ კუთვნილებას—პირიქით, მუდმივად ხაზს უსვამენ რელიგიურ თავისუფლებას და ამტკიცებენ, რომ რელიგიასა და პოლიტიკას ერთმანეთთან არაფერი აქვს საერთო, თითქოს რელიგია პოლიტიკასთან შედარებით უმნიშვნელო იყოს. ამგვარად, ლიბერალური და კონსერვატიული პარტიების წევრები შეიძლება იყვნენ ქრისტიანები, ებრაელები, მუსლიმები, ათეისტები ან ბუდისტები, და მათი რელიგიური მრწამსი სრულიად არარელევანტურად ითვლება მათ პოლიტიკურ საქმიანობასთან მიმართებაში. ისინი გაერთიანებულნი არიან მხოლოდ პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად, თუმცა შესაძლოა სრულიად განსხვავებული სულიერი მიზნები ჰქონდეთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ფრაგმენტაცია შეუთავსებელია რელიგიის ბუნებასთან, მაგრამ რელიგიურმა თემებმა ის მაინც უნდა მიიღონ, თუ სურთ საზოგადოების განვითარებაზე რაიმე გავლენა იქონიონ.

ჭეშმარიტი ცხოვრების ფილოსოფია, როგორიცაა ნაციონალ-სოციალიზმი, არ ტოვებს ადგილს ცხოვრების ატომისტური დაყოფისთვის, სადაც სხვადასხვა სფეროები ერთმანეთთან კავშირს არ ინარჩუნებენ. ნაციონალ-სოციალიზმი საზოგადოების ყველა პრაქტიკული პრობლემის გადაჭრას საკუთარი ფუნდამენტური პრინციპებით ცდილობს, ხოლო მის მიმდევრებს არ სჭირდებათ რაიმე უცხო ელემენტი მათი სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ნაციონალ-სოციალიზმი თავისთავად პასუხობს ყველა კითხვას, რაც კი შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს.

ცნობილია, რომ რელიგიები რწმენაზეა დაფუძნებული—ამით ისინი ამაყობენ კიდეც. მაგალითად, ღმერთის არსებობა, უბიწო ჩასახვა, აღდგომა, მეორედ მოსვლა და სხვა რელიგიური დოქტრინები ვერ ექვემდებარება მეცნიერულ დამტკიცებას, თუ არ მივიღებთ, რომ ბიბლია თავად ღმერთის სიტყვაა—რაც, თავის მხრივ, ასევე რწმენას მოითხოვს. თუ რაიმეს მტკიცებულების გარეშე არ იჯერებთ, მაშინ თქვენ ეჭვიანი ხართ, როგორც “დაეჭვებული თომა”.
ამ ბრმა რწმენის საპირისპიროდ, როგორც მარქსიზმი, ისე ნაციონალ-სოციალიზმი ამტკიცებს, რომ ეფუძნება სამეცნიერო ჭეშმარიტებას. თუმცა, მარქსიზმი მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა, რომელიც, მიუხედავად თავისი „მეცნიერული“ პრეტენზიებისა, რეალობასა და მეცნიერებასთან კავშირს ვერ ამყარებს.

ყველა სხვა მსოფლმხედველობისგან განსხვავებით, ნაციონალ-სოციალიზმი მომდინარეობს ბუნების მარადიული კანონებიდან, რომლებიც არსებობდნენ სამყაროს დასაბამიდან. ეს იდეა ნათლად გამოხატა სავიტრი დევიმ, ცნობილმა ნაციონალ-სოციალისტმა ფილოსოფოსმა, თავის წიგნში “ელვა და მზე”:

"თავის არსში, ნაციონალ-სოციალისტური იდეა სცდება არა მხოლოდ გერმანიას და ჩვენს ეპოქას, არამედ არიულ რასას, კაცობრიობას და ნებისმიერ ისტორიულ პერიოდს. საბოლოო ჯამში ის გამოხატავს იმ იდუმალ და უცდომელ სიბრძნეს, რომლის მიხედვითაც ბუნება ცოცხლობს და ქმნის, ის გამოხატავს იმ უსახო სიბრძნეს, რომელიც პირველყოფილი ტყეების სიღრმეში, ოკეანის უფსკრულში და კოსმოსის ბნელ ველებში მეფობს. ადოლფ ჰიტლერის დიდება არა მხოლოდ ის არის, რომ ამ ღვთაებრივ სიბრძნეს დაუბრუნდა, არამედ ისიც, რომ იგი მსოფლიო მასშტაბის პრაქტიკული აღორძინების პოლიტიკად აქცია."

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაციონალ-სოციალიზმი არ გამოუგონია ადოლფ ჰიტლერს, არამედ ის ბუნების ფუნდამენტური კანონების შეგნებული გამოხატულებაა. ის ეფუძნება სიცოცხლის უსასრულო სიყვარულს, ბუნების სიბრძნის პატივისცემას და ცხოვრების შენარჩუნების ძლიერ ნებას. ამგვარად, ნაციონალ-სოციალიზმის წინააღმდეგობა ისეთივე უაზრობაა, როგორც გრავიტაციის კანონის წინააღმდეგ ბრძოლა. ნაციონალ-სოციალიზმი ბუნებრივ და ბიოლოგიურ კანონებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში იყენებს ისევე, როგორც ისინი გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიებში.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვინმეს უნდოდეს, რომ ბუნების კანონები სხვაგვარად იყოს მაგრამ მათი შეცვლა შეუძლებელია. ბუნების კანონები ვერ გაუქმდება

გაეროს გენერალური ასამბლეის, აშშ-ის კონგრესის ან ნებისმიერი სხვა ეროვნული პარლამენტის კენჭისყრით.
შესაძლოა, ყველაფერი უფრო ადვილი ყოფილიყო, თუ ყველა ადამიანი და ყველა რასა თანასწორად იქნებოდა შექმნილი და არ იარსებებდა ბიოლოგიური მემკვიდრეობითი ფაქტორები, რომლებიც მართავენ და ზღუდავენ ჩვენს ინდივიდუალური განვითარების შესაძლებლობებს. თუმცა, ეს ასე არ არის, და ამ ფაქტის შეცვლის არავითარი შანსი არ არსებობს. საზოგადოების აგება ასეთ ოპტიმისტურ სურვილებზე მომაკვდინებელი ცოდვაა, რომელსაც მხოლოდ კატასტროფული შედეგები მოჰყვება.

ეს შედეგები ძალიან ნათლად ჩანს, როდესაც ვუყურებთ საზოგადოებებს, რომლებიც ჩვენმა მტრებმა ააგეს აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ერთხმად ისინი ნაციონალ-სოციალიზმს „ბოროტების სახარებას“ უწოდებენ, მაშინ როდესაც თავად მართავენ სამყაროს, რომელიც ეკონომიკური და მორალური კატასტროფის ზღვარზეა. ეს არის სამყარო, რომელიც განიცდის ინფლაციას, უმუშევრობას, კრიმინალს, უაზრო ძალადობას, ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებას, დაბინძურებას, პორნოგრაფიას, კორუფციას, შიმშილსა და ეკოლოგიურ კატასტროფებს. ეს არის სამყარო, რომელმაც **1945** წლიდან მხოლოდ **16** დღე განიცადა მშვიდობა, და სადაც იმავე პერიოდში **30** მილიონი ადამიანი დაიღუპა. ამ საშინელ სამყაროს დამატებით ემუქრება ბირთვული ომის საფრთხე, რომელიც შეიძლება დედამიწაზე ყოველი უმაღლესი სიცოცხლის განადგურებით დასრულდეს.

გასაკვირი არ არის, რომ ადამიანი მუდმივ შიშში ცხოვრობს იმის გამო, თუ რას მოუტანს მას მომდევნო დღე! სამწუხაროდ, ეს შიში და უიმედობა ყველაზე მეტად გავრცელებულია არიულ სამყაროში, სადაც დეკადანსი და მორალური გადაგვარება განსაკუთრებით არის გამეფებული. აქ ხალხი სრულიად გაუცხოებულია ყველა ჯანსაღი და ბუნებრივი ღირებულებისგან და გადაქცეულია უგონო ზომბებად, რომელთა შფოთვას მხოლოდ მატერიალური სიუხვე ამშვიდებს – ეკონომიკური ქაოსის წინააღმდეგ მუდმივ რბოლაში. მიუხედავად თანამედროვე სამყაროს ყველა მატერიალური სიკეთისა, ეს ხალხი არც ბედნიერია და არც კმაყოფილი. მათ სრულიად აკლიათ იდეალები და ენთუზიაზმი და დაკარგეს მომავლის რწმენა. არიელს უბრალოდ ეშინია შვილების გაჩენის ამ სამყაროში, რადგან ის მომავალს ვერ ხედავს, ის თავისი რასისა და კულტურის შენარჩუნებაზე მეტად უპირატესობას ანიჭებს მომენტალურ ფუფუნებას. ის ცდილობს შეიქმნას რაც შეიძლება კომფორტული ცხოვრება ამ ჭაობში და მისი ერთადერთი იმედი ის არის, რომ გარდაუვალი

კატასტროფა არ მოხდება მის სიცოცხლეში.ამგვარად, ის ჩუმად უყურებს, როგორ იპყრობენ მისი წინაპრების მიწას ნელ-ნელა, მაგრამ სტაბილურად უცხოელები, რომლებმაც ჯერ ვერ გააცნობიერეს, რომ თეთრი ადამიანის დასასრული ყველა ცივილიზაციის დასასრულს ნიშნავს.

ეს არის ოქროს ხანა, რომელსაც ჩვენი მტრები 1945 წელს მთელს მსოფლიოს დაგვპირდნენ – ეს არის ის, რისი აგებაც მათ შეძლეს ორმოცი წლის განმავლობაში, როდესაც მათ აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდათ. ამ გარემოებებში მომავლის პერსპექტივები ნამდვილად სევდიანია. თუმცა, ეს ასე არ უნდა იყოს. ის, რომ სამყარო ასეთ საშინელ მდგომარეობაშია, მხოლოდ ადამიანის ბუნების კანონების მიმართ სრული უპატივცემულობის შედეგია.

____

როგორც ნაციონალ-სოციალისტი, თქვენ თავს იგრძნობთ თითქოს სხვა პლანეტიდან ხართ, როცა პირველად გააცნობიერებთ არსებული დღის წესრიგის რეალურ ბუნებას. თქვენ არ შეგიძლიათ იყოთ ამ სისტემის ნაწილი და ამ საზოგადოების ჩარჩოებში ყოველდღიური ბრძოლა გადარჩენისთვის უნდა მოგეჩვენოთ დროის ფუჭად ხარჯვად. როგორც ნაციონალ-სოციალისტები, ჩვენ წარმოვიდგენთ სრულიად ახალ მსოფლიო წესრიგს, რომელიც ეფუძნება „უცდომელ სიბრძნეს, რომლის მიხედვითაც ბუნება ცხოვრობს და ქმნის". მხოლოდ ასეთ ახალ მსოფლიო წესრიგში შეიძლება გადარჩეს სიცოცხლე ამ პლანეტაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, ამ ახალი წესრიგის დასამკვიდრებლად ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ ის ბუნებაზე ზემოთ არ დგას. ადამიანი არ არის შემოქმედების ბატონი, არამედ ბუნების ტოტალური მთლიანობის განუყოფელი ნაწილი და ის ზუსტად იმავე კანონებს ექვემდებარება, რომელსაც ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმი. ასევე, მან უნდა აღიაროს მეცნიერულად დადასტურებული ფაქტი, რომ ადამიანთა რასები განსხვავდებიან – არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ მათი გონებრივი და ინტელექტუალური მახასიათებლებითაც – და, ბოლოს, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურად შექმნილია არათანასწორად, და მათი ცხოვრება ძირითადად განისაზღვრება ბიოლოგიური მემკვიდრეობითი ფაქტორებით და არა გარემოთი.

ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება „უსამართლოდ“ მოგვეჩვენოს, მაგრამ ერთ-ერთი რამ, რაც ადამიანმა უნდა აღიაროს, ის არის, რომ ბუნებაში არ არსებობს სამართლიანობის ცნება იმ გაგებით, როგორც ჩვენ ჩვეულებრივ ვიყენებთ ამ სიტყვას. როგორც ადამიანებს, ჩვენ შეგვიძლია – და უნდა – ორგანიზება გავუკეთოთ საზოგადოებას, რომელიც ეფუძნება ლეგალურ და სოციალურ სამართლიანობას, რადგან საზოგადოების ყველა წევრს აქვს სასარგებლო ფუნქცია და შესაბამისად, მას შეუძლია მოითხოვოს თანაბარი დაცვა კანონის ფარგლებში და ასევე უსაფრთხოება ეკონომიკური ექსპლუატაციისგან. ეს არის უსაფრთხოების ნაწილი, რომელიც აუცილებელი და ბუნებრივია ორგანიზებულ საზოგადოებაში – სინამდვილეში, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანებმა დაიწყეს სტაბილური სოციალური სტრუქტურების შექმნა, რადგან მათ ეს უსაფრთხოება სურდათ, თუმცა, ჩვენ არ შეგვიძლია შევქმნათ ბიოლოგიური სამართლიანობა – ისევე, როგორც არ შეგვიძლია შევქმნათ ბიოლოგიური თანასწორობა. ადამიანური თვალსაზრისით, ყოველთვის ძალიან უსამართლოდ მოგვეჩვენება, რომ ზოგი ადამიანი ახალგაზრდა ასაკში ებრძვის საშინელ, მტკივნეულ და განუკურნებელ დაავადებებს, ზოგი კი კარგი ჯანმრთელობით სარგებლობს ასი წლის ასაკამდე – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის, ვინც 25 წლის ასაკში კვდება, გაცილებით დიდ გონებრივ ნიჭს ფლობს და კაცობრიობისთვის ბევრად მეტის გაკეთება შეეძლო, ვიდრე მას, ვინც მოხუცებულობამდე ცოცხლობს. რასაც არ უნდა ვგრძნობდეთ ამის შესახებ, ეს ასეა ჩვენი ყველა სამედიცინო უნარის მიუხედავად და ადამიანმა ამ ფაქტს უნდა შეეგუოს. ბუნება არ ცნობს ჩვენს სამართლიანობის ცნებას და ნებისმიერი მცდელობა, შემოიღოს ერთგვარი ღვთაებრივი სამართლიანობა მომავალ ცხოვრებაში, უნდა უარყოს, როგორც რეალობისგან თავის დაღწევის აბსურდული მცდელობა.

ამ კონტექსტში, ნაციონალ-სოციალიზმის მტრები ხშირად ამტკიცებენ, რომ ადამიანის ბუნების ბიოლოგიური ცნება, რომელიც ნაციონალ-სოციალიზმის საფუძველია, „არაეთიკურია“. ამაზე მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ამ მოწინააღმდეგეების ე.წ. „ეთიკა“ ამორალურია, რადგან ის ეფუძნება ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც ბუნებაზე არ არის დაფუძნებული. ნაციონალ-სოციალისტებისთვის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება არსებობს: ბუნების კანონები! და ყველაფერი, რაც სრულად არ შეესაბამება ამ ჭეშმარიტებას, აბსოლუტურად 100%-ით არასწორია!

ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს ქრისტიანობის სრულ უარყოფას, რომლის არაბუნებრივი დუალიზმი გაბატონებული „მორალური“ კოდექსის საფუძველს

წარმოადგენს იქაც კი, სადაც ეს კოდექსი ლიბერალურ-ჰუმანისტური ან მარქსისტული ეტიკეტით არის შენიღბული. ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანი ყველა არსებას შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ღვთაებრივი სულის ქონის გამო. ეს სული უნივერსალური და არაბიოლოგიურია, არ განსხვავდება რასებსა თუ ინდივიდებს შორის, არ არის დამოკიდებული ინტელექტზე, გონებრივ თუ ფიზიკურ თვისებებზე, არც მემკვიდრეობით გადაეცემა და არც ბუნების გავლენის ქვეშ იმყოფება. სწორედ ეს სული აქცევს ყველა ადამიანს თანასწორად ღმერთის თვალში, მიუხედავად იმისა, თუ რას აკეთებენ ან როგორები არიან, მთავარია, რომ მათ სწამდეთ. ქრისტიანისთვის ადამიანზე, როგორც ბიოლოგიური ფაქტორების პროდუქტზე საუბარი „შეურაცხყოფად" მიიჩნევა. ქრისტიანობის მიხედვით, ადამიანის მთელი ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა ღვთაებრივ სულსა და „მატერიას", ანუ ბუნებას შორის (პირად დონეზე კი ხორცს), რომელიც ბოროტებას განასახიერებს და უნდა დამარცხდეს მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად განუსაზღვრელ სამოთხეში. დედამიწაზე ცხოვრება მხოლოდ მომავალი ცხოვრებისთვის მზადებაა აბრაამის წიაღში ან ჯოჯოხეთში, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ებრძოდნენ ისინი თავიანთ ბიოლოგიურ ბუნებას. თავისთავად, ქრისტიანისთვის დედამიწაზე ცხოვრებას ღირებულება არ გააჩნია, ის მხოლოდ ცრემლების ველია.

ამგვარად, ქრისტიანობა ცხოვრებისა და ბუნების მკაფიო ზიზღით ხასიათდება. ეს არის რელიგია წაგებულთა და მეოცნებეთათვის, რომლებსაც ცხოვრების გამოწვევებთან გამკლავება არ შეუძლიათ, არამედ უბრალოდ ვეგეტირებენ იმ იმედით, რომ „უკანასკნელი გახდება პირველი, ხოლო პირველი — უკანასკნელი". ქრისტიანობა ნებისმიერ კრიმინალს, უსარგებლო და გონებრივად ნაკლოვან ადამიანს უფრო ღირებულად მიიჩნევს, ვიდრე მშრომელ და შემოქმედებით მოქალაქეს. ის წარმოადგენს ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობას, რომელიც ქალწულს დედაზე მაღლა აყენებს, ბერს — ოჯახის მამაზე, სუსტსა და ტანჯულს — ძლიერსა და გამარჯვებულზე, ხოლო მკვდარს — ცოცხალზე. ის ზიზღს გამოხატავს ცხოვრების ნებისმიერი სიამოვნების მიმართ და ადიდებს თვითტანჯვასა და თვითდამცირებას, როგორც დადებით ნიშნებს იმისა, რომ ადამიანი ებრძვის თავის ხორცს და აღიარებს, რომ ცოდვის ჭურჭლად დაიბადა, რადგან მთლიანად სული ვერ იქნება.

როგორც არ უნდა შევხედოთ, ქრისტიანობა გარყვნილ და მისანთროპულ დამოკიდებულებას წარმოადგენს ცხოვრების მიმართ, რაც ჯანსაღ საზოგადოებაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მისაღები. პირდაპირ რომ

ვთქვათ, ქრისტიანობა სულიერი შიდსია, რომელმაც გაანადგურა ჩვენი ბუნებრივი იმუნიტეტი არაბიოლოგიური აზროვნების წინააღმდეგ. ეს გონების დამაბინძურებელი დაავადებაა, რომელსაც ყველა საშუალებით უნდა ვებრძოლოთ.

ქრისტიანისგან განსხვავებით, ნაციონალ-სოციალისტმა უნდა იცხოვროს. მან თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად უნდა გააფართოვოს და თავისი პიროვნება რაც შეიძლება სრულად გაშალოს თავისი ბიოლოგიური ბუნების ფარგლებში — როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ის არ უნდა ატარებდეს ცხოვრებას მუხლებზე, ახლოაღმოსავლური ღმერთის წინაშე, წყალობისა და შენდობის თხოვნით იმ „ცოდვისთვის“, რომ ბუნებაში დაიბადა. ჩვენ გვსურს ვიხილოთ ამაყი და ჰარმონიული ადამიანები, რომლებიც თავდაჯერებულნი არიან საკუთარ თავში და თავიანთ მისიაში — და არა შეშინებული, დათრგუნული პროდუქტები მისანთროპული კონცეფციებისა, როგორიცაა „თანდაყოლილი ცოდვა“. ეს კონცეფცია ადამიანს ცხოვრებაში მხოლოდ ერთ სიამოვნებას უტოვებს: იმის იმედს, რომ „ღმერთი“ აპატიებს, თუ ის ირწმუნებს და მოინანიებს. ასევე არ გვსურს პლურალისტული მსოფლმხედველობის მოწყვლადი და სასოწარკვეთილი მსხვერპლები, რომლებიც უარყოფენ აბსოლუტურ ღირებულებებს. ჩვენ არ ვართ ათეისტები. ჩვენ გვწამს ღვთაების, მაგრამ ჩვენი ღვთაება სრული კონტრასტია იუდეო-ქრისტიანულ იაჰვესთან. ნაციონალ-სოციალიზმისთვის მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი ღვთაება არსებობს: გაუგებარი შემოქმედებითი ძალა, რომელიც ბუნებაში ყველგან ვლინდება. ეს ის ღვთაებაა, რომელსაც ვეთაყვანებით, როდესაც პატივისცემას გამოვხატავთ ბუნების კანონების სიბრძნის მიმართ. როგორც ნაციონალ-სოციალისტები, ჩვენ მხოლოდ ბუნების ხმას ვუსმენთ, მხოლოდ ბუნების ეთიკას ვაღიარებთ და მხოლოდ ერთ მომაკვდინებელ ცოდვას ვიცნობთ: ამ ეთიკის წინააღმდეგ აჯანყებას.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია, ნაციონალ-სოციალისტები სრულად აცნობიერებენ, რომ ის განსხვავდება სხვა ცოცხალი ორგანიზმებისგან ერთი განსაკუთრებული თვისებით: უნიკალური ტვინით, რომელიც მას აბსტრაქტული აზროვნების საშუალებას აძლევს. ამ შესაძლებლობამ ადამიანს საშუალება მისცა, თავიდან აეცილებინა ან შეემსუბუქებინა ბუნების ზოგიერთი სისასტიკე, რომელსაც სხვა არსებები იძულებულნი არიან გაუძლონ. ჩვენმა ტვინმა მოგვცა შესაძლებლობა განგვეკურნა დაავადებები, რომლებიც სხვაგვარად სასიკვდილო იქნებოდა, აღმოგვეჩინა ბუნების კანონების ძირითადი პრინციპები და გამოგვეყენებინა ისინი ჩვენს სასარგებლოდ -

კარგისთვის თუ ცუდისთვის - და განგვევითარებინა ტექნოლოგია, რომელიც აუცილებელი იყო დედამიწის შესასწავლად და მისი სიმდიდრის გამოსაყენებლად.

სამწუხაროდ, ჩვენმა ტვინმა ასევე შესაძლებელი გახადა ბუნების კანონების შეგნებული უგულებელყოფა, როდესაც მათი იგნორირება უფრო კომფორტულია ჩვენთვის ვიდრე მათი დაცვა. პრიმიტიულ საზოგადოებაში ასეთი გადაცდომის შედეგებს მალე იგრძნობდით, მაგრამ მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიურ საზოგადოებაში ბუნების კანონების დარღვევა საკმაოდ დიდხანს შეგრჩებათ, სანამ ბუნების გარდაუვალი შურისძიების დრო არ დადგება. ადრე თუ გვიან ის დაუნდობელი სიძლიერით მოგაკითხავს და მაშინ, შეუძლებელი თუ არა, უკიდურესად რთული იქნება შეცდომების გამოსწორება.

და ბოლოს, ჩვენმა უნიკალურმა ტვინმა მოგვცა გრძნობები, რომლებიც ძნელად გვხვდება ცხოველებში: უცნობის შიში, სიკვდილის გარდაუვალობა და შესაბამისად, სასოწარკვეთილი მოთხოვნილება რაღაცისა, რაც ადამიანს სულიერ უსაფრთხოებასა და ცხოვრების აზრს მისცემს მატერიალური სიკეთეებისთვის ბრძოლის მიღმა. ეს მოთხოვნილება დგას რელიგიების უკან, მაგრამ მათგან განსხვავებით, ნაციონალ-სოციალიზმი ამ მოთხოვნილებების დედამიწაზე დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. ამ კონტექსტში უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ტვინი და არც გრძნობები არ არის იზოლირებული, არაბიოლოგიური ფაქტორები. ისინი ცოცხალი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია და ისევე როგორც ადამიანის ფიზიკური თვისებები, „სულიც“ ექვემდებარება ბუნების კანონებს, მათ შორის მემკვიდრეობას. როგორც ნაციონალ-სოციალისტები, ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ საზოგადოება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ბუნების კანონების ყველა ასპექტი გათვალისწინებული იყოს. ამიტომ, არ არის საკმარისი მხოლოდ ადამიანების მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ჯანსაღი ეკონომიკური ცხოვრებით, რადგან ასევე აუცილებელია სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც.

____

ხშირად ამტკიცებენ ჩვენი მტრები, რომ ნაციონალ-სოციალიზმის სულიერი სამყარო იძულებისა და მანიპულაციის სამყაროა, სადაც ინდივიდს თავისუფლებასა და ინდივიდუალობას უსპობენ, რათა ის უგონო მასის

ნაწილად იქცეს. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში, ეს უფრო დემოკრატიის აღწერას ჰგავს. სწორედ დემოკრატები თვლიან ხალხს დიდ, ნაცრისფერ მასად, სადაც ინდივიდებს შორის განსხვავებები შემთხვევით გარემოებებად აიხსნება, რაც საზოგადოებამ უნდა „გამოასწოროს“, რათა ხალხი დემოკრატიულ გზაზე „სოციალიზდეს“. პირიქით, ნაციონალ-სოციალიზმი ინდივიდს პატივს სცემს. ჩვენ ვიცით, რომ თითოეული ადამიანი ბიოლოგიურად უნიკალურია და განსხვავებული ნიჭი და შესაძლებლობები აქვს. ამ ინდივიდუალური ნიჭის გაერთიანება საზოგადოების ჩარჩოში ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. მხოლოდ ასე შეიძლება ხალხის გონებრივი რესურსების სრულად გამოყენება — როგორც ინდივიდების, ისე საზოგადოების სასარგებლოდ.

თუმცა, ჩვენ ასევე ვიცით, რომ გენიოსობა და პროგრესი არასოდეს მომდინარეობს მასებისგან, არამედ ყოველთვის ცალკეული, გამორჩეული ინდივიდებისგან. მხოლოდ ინდივიდისთვის თავისუფალი განვითარებისა და თავის პოვნის შესაძლებლობის მიცემით, ორგანიზებულ საზოგადოებაში შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ადამიანის წინსვლას უფრო მაღალი სრულყოფილებისკენ. თუ გვსურს გადავჭრათ ის უზარმაზარი პრობლემები, რომლებიც მსოფლიოს 45 წლიანი დემოკრატიის შემდეგ აწუხებს, ეს აუცილებელია, რადგან აშკარაა, რომ ადამიანების თანდაყოლილი განვითარების შესაძლებლობებზე მაღლა აწევა შეუძლებელია, ყოველი სულელური მცდელობა, გავხადოთ ყველა ადამიანი თანაბარი ყველაფერში, გარდაუვალია, რომ ყველას ყველაზე დაბალ დონეზე გააერთიანებს, ანუ ჩაახშობს ყველა იმ ინდივიდს, ვინც საშუალოზე მაღლა იწევს ინტელექტით ან სხვა თვისებებით. ეს ტენდენცია დემოკრატიის ნაყოფია და არა ნაციონალ-სოციალიზმის, და ის დედამიწაზე ცხოვრების პირობებს არ აუმჯობესებს.

თუმცა, ყოველი მცდელობა ელიტის ჩამოყალიბებისა სამართლიანად განიხილება, როგორც საფრთხე დემოკრატიული სისტემის საფუძვლებისთვის, სადაც ითვლება, რომ ყველას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ თანაბარი სამართლებრივი უფლებები, არამედ თანაბარი გავლენა საზოგადოებრივ საქმეებზე, მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა მას ამისთვის საჭირო თვისებები. ასეთ სისტემას ქვეყნის მხოლოდ უფსკრულისკენ მიყვანა შეუძლია. ნაციონალ-სოციალისტურ სახელმწიფოში ხელმძღვანელობა ერის საუკეთესო წარმომადგენლებისგან შედგება. მხოლოდ მათ შეუძლიათ არსებული პრობლემების გადაჭრა და პასუხისმგებლობის აღება. დემოკრატიული ასამბლეის ინდივიდუალურ წევრებს არ შეიძლება დაეკისროთ

პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებზე, რადგან ყველა გადაწყვეტილება კენჭისყრით მიიღება, ხოლო ყველა ვალდებულია დაემორჩილოს უმრავლესობას — მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა. აშკარაა, რომ ასეთი ფორმატი უამრავ შესაძლებლობას უტოვებს საზოგადოების ყველაზე გარყვნილ ელემენტებს. ირონიულია, რომ დიდი კომერციული საწარმოები უზარმაზარ დროსა და ფულს ხარჯავენ საუკეთესო ადამიანების მოსაძებნად და განსანათლებლად, რათა ისინი კორპორაციის ხელმძღვანელ პოზიციებზე დანიშნონ, მაშინ როდესაც ნებისმიერ პოლიტიკურ შარლატანს, რომელსაც განათლება არ გააჩნია, შეუძლია გახდეს თავისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი, თუ მას სწორი კავშირები აქვს და დიდ ინტელექტს არ ავლენს. ეს უკანასკნელი შეიძლება მიუთითებდეს, რომ მისი მანიპულირება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებისთვის რთული იქნება, რაც მას მხარდაჭერას არ მოუტანს. ეს პათეტიკურია!

____

ინდივიდუალობისა და ადამიანებს შორის ბიოლოგიური განსხვავებების უარყოფამ ასევე გამოიწვია „გენეტიკური ჰიგიენის" კონცეფციის სრული ჩახშობა. დღეს ჰიგიენა მხოლოდ ხელების დაბანასა და კბილების გახეხვას გულისხმობს. თუმცა, ადამიანმა იცის „გენეტიკური ჰიგიენის" პრინციპები და უზარმაზარ დროსა და ენერგიას ხარჯავს ცხენების, ძროხების, ძაღლების, მტრედების, თუთიყუშებისა და სხვა ცხოველების გამოყვანაში საუკეთესო გენეტიკური პრინციპების მიხედვით. მაგრამ, როდესაც საქმე საკუთარი სახეობის გამრავლებას ეხება, ის სრულად უარყოფს ამ პრინციპებს, თითქოს ისინი მხოლოდ ცხოველთა სამყაროში მოქმედებდეს და ნებით უწყობს ხელს კაცობრიობის ბიოლოგიურ დეგენერაციას.

ბუნებრივ მდგომარეობაში ყოველი პოპულაცია ბიოლოგიური სელექციის ქვეშ ექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ინდივიდები, რომლებიც საუკეთესოდ არიან მორგებულნი არსებულ გარემოებებს, საზოგადოების მწვერვალს აღწევენ, ხოლო ისინი, ვინც ცხოვრებას ვერ უმკლავდებიან ისეთს, როგორიც არის - განადგურებას ექვემდებარება. ეს ბუნების ერთ-ერთი დაუნდობელი კანონია, რომელიც ადამიანმა საზოგადოებების შექმნით შეარბილა. ამ საზოგადოებებში ადგილი და მფარველობა აქვთ მოსახლეობის სუსტ ელემენტებსაც, რომლებსაც განვითარებულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. თუმცა, თუ ამ ბუნებრივი კანონის არსებობას სრულად უგულებელვყოფთ,

კატასტროფისკენ მივდივართ, რადგან ვეღარ შევძლებთ მოსახლეობაში იმ ბიოლოგიური ხარისხის უზრუნველყოფას, რომელიც საჭიროა სისტემის შესანარჩუნებლად - სისტემის, რომელიც საკმარისად ძლიერია სუსტების დასაცავადაც კი. ბიოლოგიური რეალობების გათვალისწინების გარეშე თავისუფალ ბრძოლაში აღმოვჩნდებით, სადაც ყველაზე სუსტი ინდივიდები პირველნი განადგურდებიან.

ამგვარად, ნაციონალ-სოციალიზმი არ გულისხმობს — როგორც ხშირად ამტკიცებენ — სუსტების მიტოვებას და მათი ბედისთვის დატოვებას. პირიქით, ნაციონალ-სოციალიზმი ერთადერთი გარანტიაა, რომელიც სუსტებს გარდაუვალი განადგურებისგან იცავს. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სისუსტე იდეალი არ არის — ეს ისაა, რასაც ბრძოლა სჭირდება და ეს მხოლოდ თანმიმდევრული გენეტიკური ჰიგიენითაა შესაძლებელი. ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფო ხალხს გააცნობს ბიოლოგიურ მექანიზმებს და უზრუნველყოფს, რომ ადამიანმა აღიდგინოს თავისი ბუნებრივი ინსტინქტები ამ სფეროში, რათა ბიოლოგიური წინსვლა შეძლოს. მხოლოდ სულელი თუ ფიქრობს, რომ ადამიანმა განვითარების უმაღლეს მწვერვალს უკვე მიაღწია, თუმცა იმისთვის, რომ ადამიანმა კიდევ უფრო წინ წაიწიოს, საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს, რომ დაავადებები და სისუსტეები მემკვიდრეობით არ გადაიცეს. შვილებისთვის ტანჯვის გადაცემა და მოსახლეობის გენეტიკური განადგურება მომავალი თაობების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია!

ამავდროულად, საზოგადოებამ ჯანსაღი გარემო უნდა უზრუნველყოს, რათა გარე გავლენით გამოწვეული დაავადებები სამუდამოდ გაქრეს. ეს ეხება არა მხოლოდ სოციალურ გარემოსა და სამუშაო პირობებს, არამედ ეკოლოგიურ გარემოსაც. ნაციონალ-სოციალისტურ საზოგადოებაში მიუღებელია, რომ მოგების ხარბმა სწრაფვამ და მატერიალიზმმა გამოიწვიოს საკვებსა და ტანსაცმელში პათოგენური ხელოვნური დანამატების გამოყენება, სახლებსა და საზოგადოებრივ შენობებში არაჯანსაღი სინთეტიკური მასალების შეტანა, ასევე მიწის, ჰაერისა და წყლის მზარდი დაბინძურება — არაფერი რომ არ ვთქვათ სასიკვდილო რადიოაქტიურ დაბინძურებაზე, რომელიც ასობით ათასი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ეს ყველაფერი ამ სასიკვდილოდ ავადმყოფი საზოგადოების ცხოვრების ჭეშმარიტი ღირებულებების გარყვნის ლოგიკური შედეგია. გენეტიკური ჰიგიენა და დაბინძურების კონტროლი ერთი მიზნის ორი ასპექტია: ბუნების შენარჩუნება და ეკოლოგიური ბალანსი, რათა გაგრძელდეს ადამიანის სულიერი და ფიზიკური კეთილდღეობა. ჯანსაღი გარემოს გარეშე

საუკეთესო გენებიც კი განადგურდება, ხოლო ამ გენების საკმარისი რაოდენობის გარეშე ვერავინ შეძლებს ჯანსაღი გარემოს შექმნას.

ჯანსაღ გარემოში ასევე შედის ჯანსაღი ოჯახი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ ჰარმონიულად გაიზარდონ და ბედნიერები იყვნენ. ამჟამინდელი წესრიგის ერთ-ერთი ბოროტება ისაა, რომ ასეთი ოჯახი ნადგურდება არაბიოლოგიური აზროვნებითა და ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის სისულელეებით. ისევე, როგორც რასებია განსხვავებული, განსხვავებულია სქესებიც. იდეა, რომ მამაკაცი და ქალი ბიოლოგიურად თანასწორია, ადამიანის გადარჩენისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. მათ შორის განსხვავებები არა სოციალური „სქესობრივი როლების", არამედ ბიოლოგიური როლების შედეგია. შემთხვევითი არაა, რომ ქალი შობს ბავშვებს. ის ამ ამოცანისთვის არა მხოლოდ ბიოლოგიურად, არამედ გონებრივადაცაა მორგებული და, როგორც ახალი თაობის დედა, საზოგადოებაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. იდეა, რომ მან „თავი უნდა სრულყოს" შრომის ბაზარზე შესვლითა და ასამბლეის ხაზზე მუშაობით, ხოლო შვილები სხვებს დაუტოვოს დანაშაულებრივია! ქალებს თავის სრულყოფა მხოლოდ მათი ბიოლოგიური როლის ფარგლებში, როგორც დედებს ისე შეუძლიათ. დედის გარეშე ოჯახი იშლება. ბავშვები მარტონი რჩებიან ან სახელმწიფო განათლებაზე არიან დამოკიდებულნი. სახლში დაბრუნებისას მათთვის დრო არავის აქვს. მათ არ ასწავლიან იდეალებს, ამიტომ კერპებს ტელევიზიიდან, ცუდი მუსიკიდან და კიდევ უფრო უარესი - ლიტერატურიდან იღებენ. ისინი სწრაფი კვებით ცხოვრობენ და კომერციული მატერიალიზმის ყველაზე ცუდი სახის მსხვერპლნი ხდებიან. ეს იმ შემთხვევაში, თუ საერთოდ ქალი არ გადაწყვეტს, რომ თავი აარიდოს შვილების გაჩენას — „ჩასახვის საწინააღმდეგო" საშუალებებით ან საერთოდ აბორტით, თუ მაინც დაორსულდება. ფემინისტები, რა თქმა უნდა, ამტკიცებენ, რომ მამაკაცისთვისაც ჩვეულებრივი და ბუნებრივია ბავშვებზე ზრუნვა ქალის სამსახურში ყოფნის დროს. სინამდვილეში კი ეს რომ ბუნებრივი ყოფილიყო, მამაკაცსაც შეეძლებოდა ბავშვის გაჩენა.

პირიქით, ქალის ბიოლოგია ყოველთვის განაპირობებს, რომ ის სამუშაო ბაზარზე უფრო სუსტ მდგომარეობაშია, რადგან მამაკაცთან შედარებით ნაკლებად სტაბილურია. არაფერს ვამბობ იმ სამუშაოებზე, რომლებიც გარკვეულ ფიზიკურ ძალას მოითხოვენ. გასაკვირი არაა, რომ ელიზაბეტ ბადინტერმა, ებრაელ-ფრანგმა ფემინისტმა, თავის ახალ წიგნში **(L'un est l'autre,** „ერთი მეორეა", გამოქვეყნებული **O. Jacob**-ის მიერ, პარიზი, **1986**, და თარგმნილი დასავლეთ ევროპის თითქმის ყველა ენაზე**)** მოითხოვა

საშვილოსნოსა და საკვერცხეების მამაკაცებში გადანერგვა თანასწორობის უზრუნველსაყოფად! საზოგადოება, სადაც ასეთი წიგნი მკითხველს პოულობს, ნამდვილად სასიკვდილოდ არის ავად!

____

ადამიანის ბიოლოგიური ბუნების ნაწილია, რომ ის არა მხოლოდ იზოლირებული ინდივიდია, არამედ სოციალური არსებაცაა და მისი სოციალური ინსტინქტი ბირთვული ოჯახის ფარგლებს სცდება. უძველესი დროიდან ადამიანები ჯგუფებად ცხოვრობდნენ, რათა უკეთ გამკლავებოდნენ თავიანთი პრიმიტიული არსებობის საფრთხეებს. ეს რომ არა, ადამიანი, როგორც სახეობა, ძნელად გადარჩებოდა. სხვა სიტყვებით, ორგანიზებულ საზოგადოებებში ცხოვრება ადამიანის არსებობის პირობაა, ხოლო ორგანიზებისკენ სწრაფვა — მისი ბუნების ნაწილი. ორგანიზებული საზოგადოების გარეშე თითოეულ ინდივიდს მთელი დღე აუცილებელი საჭირო ნივთების შეგროვებაში გაუვლიდა. არ დარჩებოდა ზედმეტი რესურსი ხელოვნებისთვის, მეცნიერებისთვის, განათლებისთვის ან ჯანდაცვისთვის. ორგანიზების მაღალი ხარისხი როგორც კულტურული, ისე ტექნოლოგიური განვითარების წინაპირობაა. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ უმაღლესი კულტურები ყოველთვის იმ ხალხებმა შექმნეს, რომელთაც ორგანიზების განსაკუთრებული უნარი ჰქონდათ — ანუ არიელებმა.

თუმცა, ნებისმიერ ორგანიზებულ საზოგადოებაში აუცილებელია, რომ ინდივიდმა თავი მოარგოს იმ ნორმებს, რომლებსაც თემის სხვა წევრები იზიარებენ და თავი შეიკავოს თავისი ინტელექტისა თუ ნიჭის ისე გამოყენებისგან, რომ ზიანი მიაყენოს თემს, რომელმაც ამ ნიჭის განვითარება შესაძლებელი გახადა.

ჯგუფისადმი აუცილებელი ლოიალობა მხოლოდ მატერიალისტურ მოსაზრებებს არ უნდა ეფუძნებოდეს. პირადი თავისუფლების რაღაც ნაწილის შეზღუდვა მხოლოდ იმ თემშია ლოგიკური, რომელსაც საერთო ბედი აქვს — თემში, რომელიც საერთო წარმომავლობის, ნორმების, ღირებულებებისა და ცხოვრებისეული მიზნების მქონე ადამიანებისგან შედგება. ეს ის ადამიანები არიან, რომელთა წინაპრებმა თაობების განმავლობაში მოიპოვეს და დაიცვეს ერთი ტერიტორია, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი უნიკალური ლინგვისტური, კულტურული და ბიოლოგიური ხასიათი.

სწორედ ამ სურვილმა შექმნა ჩვენი კულტურა, რომელიც მჭიდროდ ასახავს ჩვენი ხალხის ნიჭს, წარმოდგენებს, იდეალებსა და ღირებულებებს — იმ სულს, რომელსაც ჩვენი ერი ატარებს. სხვა ხალხებს განსხვავებული ნიჭი, წარმოდგენები, იდეალები და ღირებულებები აქვთ, რის შედეგადაც მათ საკუთარი, უნიკალური კულტურები შექმნეს. ეს შეიძლება თავისთავად ღირებული იყოს, მაგრამ ჩვენთვის უცხოა, ისევე როგორც ჩვენი კულტურა — სხვა ხალხებისთვის. ყველა ხალხისთვის საერთო მომავალ „მსოფლიო კულტურაზე" საუბარი უტოპიურია. „კულტურა", რომელიც ბუნებრივად არ წარმოიშვა ხალხის სულის სარკედ, სიტყვა „კულტურის" ნამდვილ მნიშვნელობას უარყოფს. ისტორია ნათლად აჩვენებს, რომ ყოველი ცივილიზაცია, რომელმაც ვეღარ შეძლო საკუთარი კულტურის შენარჩუნება და განვითარება და რომელიც უცხო კულტურულ ელემენტებს უსისტემოდ იღებდა და ითვისებდა, გარდაუვალ დაცემას განიცდიდა.

საზოგადოება, რომელიც შემთხვევითი ნაზავია რასების, რელიგიებისა და ფილოსოფიების, რა თქმა უნდა, არ გამოხატავს სულიერ და კულტურულ სიმდიდრეს, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ. ეს აბსურდული მტკიცებაა, რომლის არსებობა ვერანაირად გამართლდება — ის ერის გარდაუვალი დაშლისა და ყველა ნორმისა თუ ღირებულების სრული გაქრობის ნათელი მაჩვენებელია. ასეთი საზოგადოება ნამდვილი თემის დეგენერაციული პაროდიაა და ვერ იარსებებს დიდხანს, რადგან სოციალური ლოიალობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რომლებიც დროებით ერთსა და იმავე მიწაზე ცხოვრობენ, იშლება გაცილებით ძლიერი სულიერი ლოიალობით რელიგიური და ფილოსოფიური იდეების მიმართ, რომლებსაც საფუძველი თავად ერსა და მის ისტორიაში არ გააჩნიათ.

საზოგადოების თანმიმდევრულობისთვის ყველაზე სერიოზულ საფრთხეს, უდავოდ, ბიოლოგიური რასების შერევა წარმოადგენს, რაც ყოველთვის კულტურების შერევასთან ერთად ხდება — ან თუნდაც მის წინაპირობას ქმნის. კულტურის დაშლა შეიძლება ნებისმიერ დროს შეჩერდეს და ხალხს შეუძლია კვლავ იპოვოს გზა თავისი კულტურული ნორმებისა და ღირებულებებისკენ, სანამ რასობრივი მარაგი ხელუხლებელი რჩება, თუმცა რასების შერევა შეუქცევადია, ხოლო მისი შედეგები გაუთვალისწინებელი და კატასტროფულია. ფაქტია, რომ ბუნება ყოველთვის უფრო დიდი რასობრივი მრავალფეროვნებისკენ მიისწრაფოდა. არაბუნებრივი რასების შერევით, რასაც დღეს ვხედავთ, ხდება ყველა ბუნებრივი ნიჭის გათანაბრება, რომლებიც

აშკარად რასითაა განსაზღვრული. იქ, სადაც ერთი რასა გარკვეული მიმართულებით განვითარდა, ააშენა თემი და შექმნა კულტურა იმ თვისებებზე დაყრდნობით, რაც თავად განავითარა, სხვა რასებთან შერევა ნიშნავს, რომ რამდენიმე თაობის შემდეგ შთამომავლები დაკარგავენ ყოველგვარ შესაძლებლობას, გაიგონ, რა შექმნეს მათმა წინაპრებმა.

სამწუხაროდ, უამრავი შესაძლებლობა გვაქვს იმის შესასწავლად, თუ როგორი საზოგადოებები იქმნება რასების შერევის შედეგად. ლათინური ამერიკა, ინდოეთი და ეგვიპტე შესანიშნავი მაგალითებია, ისევე როგორც ძველი საბერძნეთი და რომის იმპერია. ინდური, სპარსული და ეგვიპტური კულტურების მსგავსად, ბერძნული და რომაული ცივილიზაციებიც ძირითადად ნორდიული რასის მიგრირებული უმცირესობის მიერ შეიქმნა და შენარჩუნდა. ამ განვითარებულმა უმცირესობამ თავდაპირველად ჩაახშო ორიგინალური უმრავლესობა და მათი კულტურა, მაგრამ მოგვიანებით თანდათან დანებდა მათ რაოდენობრივ უპირატესობას. მრავალი ომით დასუსტებულმა, (რამაც მათ ყველაზე ღირებული სისხლი წაართვა) და აზიური ცრუ ჰუმანიტარიზმის იდეებით გარყვნილმა, მათ თანდათან მიანიჭეს დამორჩილებულ ხალხებს მოქალაქეობა, შემოიყვანეს ახალი მონები და მუშები თავიანთი კოლონიებიდან აფრიკასა და აზიაში, რომლებიც შემდეგ ინტეგრირდნენ და მომდევნო თაობებში მოქალაქეობა მიიღეს. ეს, რა თქმა უნდა, ნაცნობი სურათია, არა? სწორედ ნორდიული რასის ამ დეზინტეგრაციამ გარდაქმნა ძველი საბერძნეთის ამაყი სახელმწიფო დღევანდელ საბერძნეთად, ხოლო რომი — იტალიად — ანუ, სხვა სიტყვებით, ცივილიზაცია ქაოსად!
სკოლებში გარკვეულ დროს უთმობენ ბავშვებისთვის ძველი კულტურების შესწავლას, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ ითქმის იმ ხალხებზე, რომლებმაც ეს კულტურები შექმნეს. როგორც ჩანს, არავის აღელვებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს ორგანიზების უნარი შეიძლება ასე სრულად გაქრეს. სიმართლე ის არის, რომ დღეს „რომაელებად" წოდებულ ადამიანებს რასობრივად ძალიან ცოტა აქვთ საერთო თავიანთ ძლევამოსილ წინაპრებთან. მათი წინაპრების დიდი ნაწილი ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით ცხოვრობდა!

როდესაც დღეს რასობრივ ბიოლოგიაზე ვსაუბრობთ, იქვე მთელ რიგ ტაბუებს ვაწყდებით. რასობრივი ბიოლოგიის შესწავლა უხამს რამედ იქცა თუ თქვენ ადამიანთა რასების გამოკვლევა გსურთ. არც ექიმებს და არც ე.წ. ანთროპოლოგებსაც კი არ შეუძლიათ ამ საკითხის შესახებ გარკვეული ცოდნა მიიღონ, ამგვარი ცოდნის დაგროვების სურვილიც კი მათ კარიერას დააზიანებს. მაშ, რატომ უნდა იდარდონ? ამიტომაც ყოველთვის ამტკიცებენ ზიზღით სავსე

ღიმილით, რომ „სუფთა" თეთრი რასა არ არსებობს, „არიელი" კი მხოლოდ ლინგვისტური ტერმინია. ეს ყველაფერი იმის დასამტკიცებლადაა მიმართული, რომ რასობრივი მეცნიერება სისულელეა. რა თქმა უნდა, ეს არგუმენტები სრულად არასწორი არ არის, მაგრამ დასკვნა მცდარია! მართალია, რომ სხვადასხვა ევროპული რასა შერეულია, მაგრამ ეს იყო ახლო ნათესავი რასების შერევა ერთი მთავარი — ე.წ. თეთრი რასის ფარგლებში, რომელსაც ძალიან კარგად შეიძლება ეწოდოს არიული რასა თუ ზუსტად განსაზღვრავთ რაზე საუბრობთ! გარდა ამისა, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმის, რომ ეს შერევა სასარგებლო იყო ევროპელებისთვის! სავარაუდოდ ეს პირიქითაა და არანაირი კარგი მიზეზი არ გაგვაჩნია გავაგრძელოთ ეს დეზინტეგრაციის პროცესი ისევ ერთმანეთში შერევით.

უცოდინრები ასევე ამტკიცებენ, რომ რასების შერევა „ინბრიდინგის" თავიდან აცილებისთვისაა საჭირო. ეს რა თქმა უნდა ბიოლოგიური და მეცნიერული თვალსაზრისით დიდი სისულელეა. ინბრიდინგი მხოლოდ ახლო ნათესავებს შორის შეჯვარებას გულისხმობს, რომლებიც ბიოლოგიურად ერთმანეთს ჰგვანან. ინბრიდინგის დროს სხვადასხვა გენეტიკური ფაქტორები — კარგიც და ცუდიც —ერთად გროვდება. თუ მამა და დედა ერთნაირ გენებს ატარებენ, დიდია შანსი — ან რისკი — რომ შთამომავლობას ეს გენები გადაეცეს, რადგან პრაქტიკულად ყველა ჩვენგანი ატარებს გარკვეულ არასასურველ გენებს, აქედან გამომდინარე ცხადია სასურველია, რომ ისინი არ გადაეცეს შემდეგ თაობებს. მიუხედავად იმისა, რომ დადებითი გენების გადაცემაც ხდება, მემკვიდრეობითი დაავადებების გადაცემის მაღალი რისკი ამას ვერ გადაწონის. ინბრიდინგი საშიშია ძალიან მცირე პოპულაციებში, მაგალითად, პატარა კუნძულზე ან ე.წ. „სამეფო" თუ „დიდგვაროვან" ოჯახებში. მილიონობით ინდივიდის მქონე პოპულაციაში ის ჩვეულებრივ პირობებში უბრალოდ არ არსებობს.

ყოველ შემთხვევაში, რასობრივად უცხო გენეტიკური ელემენტების დამატება ინბრიდინგის თავიდან აცილების კარგი გზა სულაც არაა. ეს მხოლოდ დაუბალანსებელ ინდივიდებს ქმნის, რადგან მშობლები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებიან. ამაზე უცოდინრები ამბობენ, რომ ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში სხვადასხვა რასების შეჯვარება ძალიან კარგ შედეგებს იძლევა. ეს მართალია, მაგრამ იქ საქმე გვაქვს მკაცრად კონტროლირებად ჯიშებთან, სადაც მეცნიერებმა წინასწარ განსაზღვრეს, რომელი თვისებები უნდა გამოიყვანონ. ამიტომ, მშობლებს ამ მიზნით ირჩევენ, იღებენ იმ ინდივიდებს, რომლებიც საუკეთესო თვისებებს ატარებენ, ხოლო შთამომავლობიდან ისევ იმ

ინდივიდებს არჩევენ, სადაც სასურველმა თვისებებმა ყველაზე მეტად იჩინა თავი. ამ ინდივიდებს შემდგომი გამრავლებისთვის იყენებენ, ხოლო დანარჩენს, როგორც ნარჩენებს, ისე იშორებენ თავიდან. ამ ნარჩენების გაგრძელებული გამრავლება ყოველთვის საპირისპირო შედეგებს იძლეოდა, ჩვეულებრივ სხვადასხვა ჯიშების შეჯვარება კი არასოდესაა დაშვებული, ხოლო თუ ეს შეცდომით ხდება, მაგალითად, ძაღლებთან — შთამომავლობა უნდა განადგურდეს!

რამდენად საშიში შეიძლება იყოს სხვადასხვა ჯიშების შეჯვარება, ამას ე.წ. „მკვლელი ფუტკრები“ ნათლად აჩვენებს. ისინი ხელოვნური პროდუქტები არიან, რომლებიც მტკიცე, მაღალმოსავლიანი რასის შექმნის მცდელობისას წარმოიშვა. შედეგად მივიღეთ ფუტკრების აგრესიული ჯგუფები, რომლებსაც ყვავილების დამტვერვა საერთოდ არ შეუძლიათ. შემთხვევით, ზოგიერთმა ამ ფუტკარმა ლაბორატორიიდან გაქცევა მოახერხა და დღეს ისინი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ლათინურ ამერიკასა და აშშ-ის სამხრეთ ნაწილებში, რადგან, ისინი სახიფათოა როგორც ცხოველებისთვის, ასევე ადამიანებისთვის, რადგან თავს ესხმიან ყველაფერს, რაც მოძრაობს და ასევე იმიტომ, რომ ისინი ანაცვლებენ ჩვეულებრივ ფუტკრებს, რის გამოც მცენარეები დამტვერვის გარეშე რჩება. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს რასების შერევა, თუ საჭირო კონტროლი არ მიმდინარეობს. ახლა კი წარმოიდგინეთ, რა შედეგს მოიტანს ადამიანთა რასების გავრცელებული შერევა სრული კონტროლის გარეშე!

ალბათ არავინ იზამდა ადამიანთა სხვადასხვა რასების შეჯვარებას იმავე პროცედურებით, რაც ცხოველებში გამოიყენება — მით უმეტეს, რომ აქ გაცილებით რთულ ფაქტორებთან გვაქვს საქმე. ეს არ არის ისეთი მარტივად განსაზღვრადი თვისებები, როგორიცაა სიმაღლე, ხორცის ხარისხი თუ რძის წარმოება, რომლებიც განსაზღვრავენ, შეუძლია თუ არა ადამიანს საზოგადოების მოთხოვნებთან გამკლავება. საქმე ეხება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ხასიათის მიდრეკილება, ინტელექტი, კრეატიულობა და შინაგანი ჰარმონია — თვისებები, რომლებიც, როგორც ცნობილია, დიდად ზიანდება რასების შერევისას. აქვე აღსანიშნავია, რომ ისინი, ვინც შეუზღუდავ რასათა შერევას უჭერენ მხარს, საერთოდაც ვერ გვიხსნიან რომელი სასურველი თვისებებით შეიძლება გაამდიდრონ უცხო რასობრივმა ელემენტებმა თეთრი რასა!

ყოველ შემთხვევაში, ამჟამინდელი დეზინტეგეაციის ტენდენციები საზოგადოების ვერცერთ სფეროში ვერ შეძლებენ, რომ ადამიანები დაუცველები და უბედურები არ გახადონ. მხოლოდ ნამდვილ, ჰარმონიულ თემში რომელიც ერთიანი კულტურული, ისტორიული და ბიოლოგიური ფონის მქონე ადამიანებისგან შედგება და მომავლისადმი საერთო სულიერი მისწრაფებებით არის შეკრული, შეუძლია ინდივიდს სულიერი სიმშვიდე და შინაგანი უსაფრთხოება იგრძნოს. მხოლოდ აქ გრძნობს ადამიანი, რომ იგი ერთი დიდი მთლიანობის ბუნებრივი ნაწილია — ისეთი რაღაცის, რაც თავად ინდივიდზე ძლიერია და რაც მის შემდეგაც გაგრძელდება, ისევე როგორც მის დაბადებამდე არსებობდა. მხოლოდ ასეთი ეროვნული ბედისწერის მქონე თემში პოულობს ადამიანი მარადიულ ცხოვრებას, რომელსაც ის ყოველთვის ეძებდა. ჩვენ სამუდამოდ ვიცოცხლებთ ჩვენი შვილებისა და ჩვენი ხალხის წყალობით, მაგრამ ეს მარადისობის ერთადერთი წილია, რაც ჩვენ ბუნებისგან გვერგო, ჩვენ ამის გარეშე შეიძლება საერთოდ არც გვიცხოვრია კიდეც!
მეორე მხრივ, თუ ადამიანი თავისი იდენტობისა და ცხოვრების დანიშნულების ძიებას ეროვნული თემის ფარგლებს გარეთ იწყებს, ეს თემი თავის მნიშვნელობას კარგავს და გარდაუვალად ნადგურდება — ისევე, როგორც ქორწინება, სადაც პარტნიორებს ერთმანეთთან მხოლოდ მისამართი აკავშირებთ.

თუმცა, თემისადმი ლოიალობა ორმხრივი უნდა იყოს. ეს არ არის მხოლოდ მოქალაქის ვალდებულება, იყოს ლოიალური საზოგადოების მიმართ — საზოგადოებაც უნდა იყოს ლოიალური მოქალაქის მიმართ. ლოიალობა გულისხმობს სამართლიან სოციალურ პირობებსა და ეკონომიკურ სისტემას, სადაც არავინ ექსპლუატირდება და ყველა საერთო კეთილდღეობისთვის მუშაობს, რათა შეინარჩუნოს ის წესრიგი, რომელიც იცავს საერთო ღირებულებებს, უზრუნველყოფს მოქალაქეების ცხოვრებასა და ბედნიერებას და თითოეულ ინდივიდს თავისი წილი აქვს ხალხის მარადიულ ცხოვრებაში.

ნაციონალიზმი სოციალიზმის გარეშე აბსურდია — და პირიქით: სოციალიზმი მკაფიოდ განსაზღვრული საზოგადოების გარეშე უაზროა.

ხშირად ამტკიცებენ, რომ ნაციონალ-სოციალისტური დამოკიდებულება ომამდე და სხვა ერების ჩახშობის მცდელობამდე მიგვიყვანს. ეს სრული სისულელეა. სიმართლე პირიქითაა: სხვა ხალხების კულტურული და

ბიოლოგიური იდენტობის პატივისცემა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც აღიარებთ რასობრივი და კულტურული განსხვავებების არსებობასა და სასურველობას. რთულად შეგიძლიათ სხვა ხალხების იდენტობას პატივი სცეთ, თუ საკუთარს არ აფასებთ! თუ რასობრივ განსხვავებებს უარყოფთ, ცხადია, მუდმივად შეეცდებით, სხვა ხალხებს თქვენთვის საუკეთესოდ მიჩნეული წესრიგი მოახვიოთ თავს, მათი განსაკუთრებული ნიშან-თვისებების გათვალისწინების გარეშე.

ქრისტიანობისა და მარქსიზმის საერთო, კატასტროფული იდეა, რომ მხოლოდ ერთი ცივილიზაციაა სწორი ყველა ხალხისთვის - განურჩევლად რასისა, საფუძვლად დაედო როგორც წინა საუკუნის ევროპულ კოლონიურ იმპერიებს, ასევე დღევანდელ მცდელობებს, თანამედროვე ინდუსტრიული სამყაროს უნაყოფო და მატერიალისტური ცხოვრების სტილი ძალით მოახვიონ თავს მესამე სამყაროს მიამიტ ხალხებს, რომელთაც მხოლოდ ბრწყინავი რაღაცეები ხიბლავთ, რისი ფასიც რეალურად არ იციან. ეს მეთოდი მათ განადგურებას გამოიწვევს, ისევე როგორც ჩვენსას! მომხმარებელთა საზოგადოება მხოლოდ ბაზრებსა და მომხმარებლებს ხედავს. ერთგვაროვანი კლიენტურა განსაკუთრებულ მოთხოვნებს არ აყენებს, რაც წარმოებას ამარტივებს და იაფს ხდის, რაც შესაბამისად მეტ გაყიდვასა და მაღალ მოგებას ნიშნავს. ეროვნული თავისებურებები და განსხვავებული კულტურული ნიმუშები აქ დაბრკოლებად ითვლება და ამიტომაც ებრძვიან. მრავალეროვნული ინდუსტრიებისა და ქსელებისთვის ყველა ადამიანი თანაბარია — თუ მხოლოდ მისი მოხმარება შეუძლია. ისინი ადამიანურ ღირებულებებს საერთოდ არ სცემენ პატივს, არამედ ანადგურებენ და შეურაცხყოფენ მათ.

ნაციონალ-სოციალიზმისთვის განსხვავება ბუნებრივი წესრიგის ნაწილია და ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ ეს წესრიგი თავისი განსხვავებებით — რასებს, ხალხებსა და ინდივიდებს შორის. ჩვენ საერთოდ არ გვაქვს სურვილი, ნეგრო ტომებს ჩვენი რელიგია ვასწავლოთ, ჩვენი საკვები ვაჭამოთ ან ჩვენი კანონები მოვახვიოთ თავს. ჩვენ გვინდა, რომ სხვა ხალხებმა თავიანთი გზა იპოვონ მომავლისკენ. რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვითანამშრომლებთ მათთან, თუ ეს ორმხრივად სასარგებლოა, მაგრამ ჩვენ არ შევაწუხებთ მათ. თუ ისინი თავიანთ გზას ვერ იპოვიან, ეს მათი პრობლემაა და არა ჩვენი. ჩვენ კონფლიქტს არავისთან არ ვეძებთ, ჩვენ უბრალოდ გვსურს, რომ მარტო დაგვტოვონ. მიუხედავად ამისა, ჩვენ პაციფისტები არ ვართ. ვიცით, რომ ზოგჯერ თითოეულ ერს უწევს ბრძოლა გადარჩენისთვის. თუ ის არ იბრძვის, განადგურდება და ჩვენ ვერ დავჯდებით გულხელდაკრეფილი, როცა ჩვენი ხალხი საფრთხეშია. თუ ჩვენი არსებობა

კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თავს დავიცავთ. ვიცით, რომ მხოლოდ ახალი ნაციონალ-სოციალისტური მსოფლიო წესრიგი, რომელიც დამოუკიდებელი და ერთმანეთის მიმართ პატივისმცემელი ერებისგან შედგება, შეძლებს ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფას და სამყაროს მოახლოებული ბირთვული კატასტროფისგან გადარჩენას.

თუ სამყარო ნაციონალ-სოციალიზმს არ მიიღებს, როგორც მომავლის ერთადერთ იმედს, ადამიანი განადგურების წინაშე დადგება. ეს იქნება ბუნების კანონების მუდმივი დარღვევის ლოგიკური შედეგი. თუმცა, ეს სამყაროს დასასრული არ იქნება. პლანეტა დედამიწა და მასზე მცხოვრები ადამიანები უზარმაზარი სისტემის მცირე და სრულიად არასაჭირო ნაწილებია. თუ ჩვენ გავქრებით, ბოლო 10,000 წლის სხვადასხვა ცივილიზაცია მხოლოდ უმნიშვნელო ეპიზოდად დარჩება უსასრულო დრო-სივრცეში როგორც წარუმატებელი ექსპერიმენტი. ბირთვული ომის შემდეგაც კი, სავარაუდოდ, მაინც დარჩება ბიოლოგიური სიცოცხლის საფუძველი დედამიწის ზოგიერთ ნაწილში და მაშინ განვითარება კვლავ დაიწყება. თუ დედამიწა სრულად განადგურდება ასეთ ომში ან სხვა მიზეზით, სიცოცხლე, ალბათ მაინც იარსებებს სადღაც სხვა პლანეტაზე, შორეულ მზის სისტემაში, შესაძლოა, კვინტილიონობით სინათლის წლის მოშორებით. ყოველ შემთხვევაში, ბუნება ყოველთვის იარსებებს, თუნდაც ადამიანების გარეშეც. სიცოცხლის გარეშეც კი, სამყაროში მაინც შენარჩუნდება ბუნებრივი წესრიგი. ეს სამყარო არ იღებს განსაკუთრებულ კანონებს ადამიანის სასარგებლოდ და თუ ის ამას ვერ გააცნობიერებს, საკუთარ განადგურებას დაიმსახურებს, რასაც ვერაფერი შეცვლის და ვერაფერი გადაარჩენს.

თუმცა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამის დაშვება სამარცხვინო იქნება. ამიტომ ვცდილობთ, ამ დაგვიანებულ ეტაპზეც კი ადამიანებს გონება მოვუხმოთ. დასაკარგი დრო აღარ გვაქვს. გსურთ შემოგვიერთდეთ? არა ჩვენთვის, არამედ თქვენი შვილებისთვის.

აშკარაა, რომ ეს პოლიტიკის საკითხი აღარაა, სასწორზე ჩვენი სიცოცხლე დევს, თქვენ კი ნუთუ შეგიძლიათ კიდევ მეტი დრო დაკარგოთ?